ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4282860

ნომერი: AR1637937

თარიღი : 31.10.2018

გაცემის თარიღი : 29.11.2018

გაცნობის თარიღი : 30.11.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი ლილოს საკრებულოს ტერიტორია, (ნაკვეთი N2/5) ; ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილზე , შ.პ.ს. "ელსავაკო"-ს დასავლეთით , (ნაკვ. N2/2) ; ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილი , N 112 ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 112 , მიმდებარედ (ნაკვეთი 02/021) ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 112 , მიმდებარედ ნაკვეთი 02/033; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 112 , მიმდებარედ ნაკვეთი 02/034;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი შაყულაშვილი პ/ნ 01008032108
- თბილისი დ. ბაგები ი.ჭანეიშვილის I გას. N 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, დიდი ლილოს საკრებულოს ტერიტორია, (ნაკვეთი #2/5) ქალაქ თბილისი, კახეთის გზატკეცილზე, შპს „ელსავაკო“-ს დასავლეთით, (ნაკვ. #2/2)/ ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი,#112 / ქალაქი თბილისი, გზატკეცილი კახეთი, #112, მიმდებარედ (ნაკვეთი 02/021) / ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი, #112, მიმდებარედ (ნაკვეთი 02/033 / ქალაქ თბილისი, გზატკეცილი კახეთი, #112, მიმდებარედ ნაკვეთი 02.034-ში, შპს „ლილო-მოლი"-ის საკუთრებაში არსებული ფართის წინამდებარე ტერიტორიაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882017804305 05/09/2017წ. საკადასტრო კოდი №01.19.13.002.042, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, დიდი ლილოს საკრებულოს ტერიტორია, (ნაკვეთი #2/5) ქალაქ თბილისი, კახეთის გზატკეცილზე, შპს „ელსავაკო“-ს დასავლეთით, (ნაკვ. #2/2)/ ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი,#112 / ქალაქი თბილისი, გზატკეცილი კახეთი, #112, მიმდებარედ (ნაკვეთი 02/021) / ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი, #112, მიმდებარედ (ნაკვეთი 02/033 / ქალაქ თბილისი, გზატკეცილი კახეთი, #112, მიმდებარედ ნაკვეთი 02.034-ში, შპს „ლილო-მოლი"-ის საკუთრებაში არსებული ფართის წინამდებარე ტერიტორიაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობის შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ საპროექტო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა უნდა განხორციელდეს №01.19.13.002.042 მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.